2023

საქართველოს ჩემპიონატი იუნორებში, კადეტებში და უფროსებში

შიდა ქართლის ღია ტურნირი



დებულება

19 თებერვალი

საქართველოს სპორტული
კარატეს ეროვნული ფედერაცია

დამტკიცებულია გამგეობის მიერ

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

მხარდამჭერი ორგანიზაციები

- კასპის მუნიციპალიტეტის მერია
- საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია
- კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საორგანიზაციო საკითხები

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე:

- დავით ტყებუჩავა - 577 545 777
- დავით დალაქიშვილი - 577 657 228

ტურნირის მსაჯობა

ტურნირს იმსაჯებენ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის აკრედიტირებული მსაჯები.
ტურნირის მთავარი მსაჯია მსოფლიო კარატეს ფედერაციის A კატეგორიის მსაჯი თათია მელუა

ტურნირის მიზნები და ამოცანები

- საქართველოში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია
- სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა, გამოცდილების მიღებაში და დონის ამაღლებაში
- საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები

სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის ჩატარების დღეს 19 თებერვალი 2023 წელი.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2023 წლის 17 თებერვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენების ჯამრთელობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მონაწილე სპორტული კლუბი და მისი ხელმძღვანელი.

საქართველოს ჩემპიონატი ტარდება იუნორებში, კადეტებში და უფროსებში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა უფასოა.
კასპის ღია ტურნირზე მონაწილეობის საფასურია 30 ლარი. მონაწილე კლუბებს შეუძლიათ თანხის უნაღდო ანგარიშწორებით გადახდა შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: საქართელოს ბანკი, GE21BG0000000538430942. ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ ის კლუბები, რომელთაც გადახდილი აქვთ წლიური საწევრო 60 ლარი და არაიურიდიული წევრი კლუბები, (წევრი ფიზიკური პირები) რომელთაც გადახდილი აქვთ შესაბამისად დადგენილი 12 ლარი.
ასევე ტრანსპორტირების და კვების ხარჯები უნდა გასწიონ შესაბამისმა სპორტულმა კლუბებმა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის დამტკიცებული წესებით.
ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ საქაღტველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის წევრი სპორტსმენები.

სპორტსმენი რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.

10 წლის ასაკიდან სავალდებულოა „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება დარბაზში მოქმედების წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა როგროც სპორტული კლუბების წარმომადგენელტათვის ასევე გულშემატკივართათვის.

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხირდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი დისციპლინარული.

მწვრთვნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, მისი არაეთიკური საქციელის შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნება სპორტსმენი.
უფროსი ასაკის სპორტსმენების აწონვა განხორციელდება 19 თებერვალ დარბაზში (კასპში). დასაშვებია 1 კგ ზედმეტი წონა, ხოლო სხვა ასაკობრივი სპორტსმენების საკონტროლო აწონვა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ შეჯიბრების დროს, ამ შემთხვევაშიც დასაშვებია 1 კგ ზედმეტი წონა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, მას სარეიტინგო ქულა არ დაეწერება.

ტურნირის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

ასაკი	ვაჟები	დრო	ასაკი	გოგონები	დრო
6-7	-25კგ, -30 კგ,+30 კგ	1 წთ	6-7	-20 კგ, +20 კგ	1 წთ
8-9	-30 კგ,-35 კგ, +35 კგ	1 წთ	8-9	-25 კგ, +25 კგ	1 წთ
10-11	-32 კგ,-37კგ, +37 კგ	1.5 წთ	10-11	-30კგ, +30 კგ	1.5 წთ
12-13	-40კგ, -45 კგ, -50 კგ, -55 კგ +55 კგ	1.5 წთ	12-13	-42კგ, -47 კგ, -52 +52 კგ	1.5 წთ
14-15	-52 კგ, -57 კგ, -63 კგ, -70 კგ +70 კგ	2 წთ	14-15	-47 კგ, -54 კგ, -61 +61 კგ	2 წთ
16-17	-55 კგ, -61 კგ,-68 კგ, -76 კგ, +76 კგ	2 წთ	16-17	-48 კგ, -53 კგ,-59 კგ, -66 კგ, +66 კგ	2 წთ
+18	-60 კგ, -67 კგ, -75 კგ, -84 კგ,+84 კგ	3 წთ	+18	-50 კგ, -55 კგ, -61 კგ, -68 კგ,+68 კგ	3 წთ
+16	კატა		+16	კატა	

ტურნირის პროგრამა

17 თებერვალი 2023 წ. - ტურნირზე რეგისტრაციის დასრულება
19 თებერვალი 2023 წ. (კვირა) შეჯიბრის დღე

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00 -9:30
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება 9:30 -10:30
- ასპარეზობის დაწყება 10:00 – 19:30
- შესვენება, საზეიმო გახსნა და დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - 14:00 – 15:00
- დაჯილდოების ცერემონია - 19:00 – 19:30

18 თებერვალს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრების მონაწილეთა სიები.

ასევე აღნიშნული ტურნირი წარმოადგენს სარეიტინგო ტურნირს და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები. (იხ. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ნაკრების შერჩევის წესი დანართი 1)

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

6-7 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 10:30 მდე

6-7 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 10:30 მდე

8-9 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 10:30 დან 12:00 მდე

8-9 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 10:30 დან 12:00 მდე

10 -11 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 13:00 მდე

10-11 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 13:00 მდე

12-13 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 13:00 დან 14:00 მდე

12-13 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 13:00 დან 14:00 მდე

შესვენება / დაჯილდოვება 14:00 დან – 15:00 მდე

14-15 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 15:15 დან 16:00 მდე

14-15 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 15:15 დან 16:00 მდე

16-17 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:00 დან 16:30

16-17 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 16:00 დან 16:30

+16 გოგონები და ბიჭები კატა - 16:00 დან 16:30

+18 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:30 დან 19:00

+18 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:30 დან 19:00

დაჯილდოვება 19:00 დან – 19:30 მდე

შენიშვნა:

მოცემული განრიგი წარმოადგენს წინასწარ ინფორმაციას, თუ რა დროს დაიწყება კატეგორიების მიხედვით ასპარეზობები. შეიძლება დაგვიანდეს რომელიმე კატეგორიის დაწყება უშუალოდ შეჯიბრებაზე გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო, აღნიშნული განრიგი შეიძლება დაზუსტდეს 18 თებერვალს რეგისტრაციის დასრულების შემდგომ.